საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იშხნის საეპისკოპოსო

იშხნის საეპისკოპოსო, ეპარქია ფეოდალურ საქართველოში. ცენტრი – იშხანი (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). მდ. ოლთისისწყლის (ახლანდ. ოლთუ-ჩაი) მარჯვ. სანაპიროზე.

დაარსდა IX ს. შუა წლებში, ბაგრატ I კურაპალატის ინიციატივით. პირველი ეპისკოპოსი იყო საბა იშხნელი, გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწე.

ი. ს-ს ეპარქიაში შედიოდა ძვ. ქართ. პროვინციები: თორთომი, პარხალი და სხვ. ვახუშტის ცნობით, „იშხანს იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე - ტრაპიზუნდის მთამდე და აწ ცალიერ არს".

იშხნელს საკმაოდ საპატიო როლი ჰქონდა საქართველოს მეფეთა კურთხევისა და დარბაზობის დროს, ხოლო საეკლ. იერარქიაში კი რიგით მეათე იყო. იშხნის კათედ-რალურმა ტაძარმა და საეკლ. ცენტრმა მოქმედება XVII ს. II ნახ-ში შეწყვიტა. თურქთა ბატონობის პირველ ეტაპზე იშხნელ ეპისკოპოსებს თურქი სულთნები ამტკიცებდნენ.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი გ., ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000.

დ. მუსხელიშვილი